www.opendata.ge

4

# სანოტარო აქტი

## წილის უსასყიდლოდ გადაცემის—ჩუქების ხელშეკრულება

ორიათას რვა წლის ოცდაოთხი იანვარი

რეესტრის №1-1163

ნოტარიუსი: მერი ბუბაშვილი
ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №19
ტ: 96 70 42.

თბილისი
2008წ

# ს ა ნ ო ტ ა რ ო   ა ქ ტ ი

რეესტრში რეგისტრაციის №1-1163

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

**ორიათას რვა წლის ოცდაოთხი იანვარი.** მერი ბუზაშვილს ნოტარიუსს თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 19. მომმართეს:

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის გენერალური დირექტორის ზურაბ ჯანჯღავას წარმომადგენელმა ჯიმშერ წიკლაურმა, როგორც კორპორაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქონების მართვის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპერტამენტის აღრიცხვის სამმართველოს უფროსმა თეიმურაზ მეგრელიშვილმა

მათ გამოხატეს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის უსასყიდლოდ გადაცემის----ჩუქების ხელშეკრულების დადების ნება. შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" სურს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის საკუთრებაში არსებული შპს „დაფ გაზი"-ს 8 % წილის უსასყიდლოდ გადაცემა----ჩუქება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროზე, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უსასყიდლოდ ჩუქების ფორმით მიიღო შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის შვილობილი კომპანიის შპს „დაფ გაზი"-ს 8 % წილი. მე დავადგინე მხარეთა პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის გენერალური დირექტორის ზურაბ ჯანჯღავას წარმომადგენელმა ჯიმშერ წიკლაურმა, როგორც კორპორაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქონების მართვის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა (დაბადებული: 07.01.1959წელს; ყაზბეგში. მცხოვრები: თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ. კორპ. 5. ბინა №139; პირადობის მოწმობა: №ა0568048; პ/№01025020965; გაცემული: ვაკე-საბურთალოს შსგ მიერ. 14.08.2004 წელს;)

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია", შემდგომში მოხსენიებულია როგორც "მჩუქებელი"

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპერტამენტის აღრიცხვის სამმართველოს უფროსმა თეიმურაზ მეგრელიშვილმა (დაბადებული: 13.01.1968 წელს; თბილისში; მცხოვრები: თბილისი, დ/დიღომი, მე-3 მ/რ. კორპ. 31. ბინა №29; პირადობის მოწმობა: №ა0176853; პ/№01024016184; გაცემული: საბურთალოს შსგ მიერ, 03.05.1998 წელს;)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შემდგომში მოხსენიებულია როგორც "დასაჩუქრებელი"

www.opendata.ge

მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, აგრეთვე მათი უფლებამოსილება. შემდეგ შევადგინე უსასყიდლოდ გადაცემის---ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც მე, ნოტარიუსმა, წავუკითხე და განვუმარტე მხარეებს. დასაჩუქრებულს განვუმარტე, რომ დასაჩუქრებული საჩუქარზე საკუთრების უფლებას იძენს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. რისთვისაც აუცილებელია ამ ხელშეკრულების სამეწარმეო რეესტრში წარდგენა.

ნაჩუქრობის საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"ის შვილობილი კომპანიის შპს „დაფ გაზი"-ს 8 % წილს

რაც დასტურდება:

1) ამონაწერით ქ. ფოთის სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული 2007 წლის 25 დეკემბერს. რეგისტრაციის №10/4-1093;
2) ყადაღის არარსებობის შესახებ ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 26 დეკემბერს №54/04-1152/24; რომლის თანახმადაც შპს „დაფ გაზი"-ს ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ;

მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება დანართით და განაცხადეს, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას.

## შპს „დაფ გაზი"-ს წილის უსასყიდლოდ გადაცემის---ჩუქების ხელშეკრულება

1. ორიათას რვა წლის ოცდაოთხ იანვარს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის გენერალური დირექტორის ზურაბ ჯანჯღავას წარმომადგენელი ჯიმშერ წიკლაური, როგორც კორპორაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი შემდგომში "მჩუქებელი"____ უსასყიდლოდ გადასცემს---ჩუქნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის შვილობილი კომპანიის შპს „დაფ გაზი"-ს 8 % წილს. ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უსასყიდლოდ მიიღო შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის შვილობილი კომპანიის შპს „დაფ გაზი"-ს 8 % წილი.

2. უსასყიდლოდ გადასაცემი წილი ნამდვილად ეკუთვნის შპს „დაფ გაზს" რაც დასტურდება:

ა) ამონაწერით ქ. ფოთის სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული 2007 წლის 25 დეკემბერს. რეგისტრაციის №10/4-1093;
ბ) ყადაღის არარსებობის შესახებ ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 26 დეკემბერს №54/04-1152/24; რომლის თანახმადაც შპს „დაფ გაზი"-ს ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ;

3. მჩუქებლის განცხადებით, საჩუქარი უფლებრივად უნაკლოა: იგი არ არის ყადაღადადებული, სადავო, არ არის დატვირთული რაიმე ვალდებულებით და არავის მიჰყიდვია.
4. მჩუქებლის განცხადებით საჩუქარს არა აქვს დაფარული ნაკლი. მესამე პირებს არ შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზია საჩუქრის მიმართ.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლის თანახმად თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს საჩუქრის ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს საჩუქრის ნაკლის დამალვით მიყენებული ზიანი.
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის შესაბამისად ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის

www.opendata.ge

განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს ამ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

7. ეს ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარ მნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მერი ბუბაშვილთან, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეებს.

8. ხელშეკრულება ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. დასაჩუქრებული სავალდებულო წესით რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საჯარო რეესტრში.

9. ამ ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის დანართი-დოკუმენტი:

1) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცი"-ის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული 2007 წლის 18 დეკემბერს რესისტრაციის №4346/007 შპს ს/ნ 206237491;
2) ამონაწერით ქ. ფოთის სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული 2007 წლის 25 დეკემბერს. რეგისტრაციის №10/4-1093;
3) ყადაღის არარსებობის შესახებ ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 26 დეკემბერს №54/04-1152/24; რომლის თანახმადაც შპს „დაფ გაზი"-ს ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ;
4) საქართველოს ფინანსთა სამონისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიერ ბრაძანება №7476/007-4346/007; გაცემული 2006 წლის 04 ოქტომბერს;
5) საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2007 წლის 05 დეკემბრის წერილი №33-032053/6-7;
6) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2007 წლის 20 ივლისს გაცემული მინდობილობა №15/625;
7) შპს „დაფ გაზი"-ს წესდების ასლი;
8) მინდობილობა დამოწმებული 2007 წლის 03 დეკემბერს ქ. თბილისის ნოტარიუს მ. ბუბაშვილის მიერ რეესტრით №1-23449;

10. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (1998წ.11ივნისს) მე-5 და 18-ე მუხლების საფუძველზე დასაჩუქრებულმა გადაიხადა საზღაური 50ლ+დღგ 18%.

"მჩუქებელი" ____________

"დასაჩუქრებული" ____________

ნოტარიუსი

თბილისი
2008წ.